საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №40
2025 წლის 27 მაისი

ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 01/08/2012, 140130000.22.034.016122) დამტკიცებული წესისა და პირობების 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭების მიზნით, მართვის უფლების მისაღებ თეორიულ ან/და ერთ- ან ორეტაპიან პრაქტიკულ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ თეორიულ ან/და ერთ- ან ორეტაპიან პრაქტიკულ გამოცდაზე დაშვების მოთხოვნის დროისთვის საქართველოში უკანასკნელ უწყვეტ თორმეტ თვიან პერიოდში სულ მცირე 185 კალენდარული დღის კანონიერი საფუძვლით ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ბინადრობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული წესი არ ვრცელდება საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლებზე. საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლებმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დოკუმენტებთან ერთად დამატებით უნდა წარმოადგინონ სააკრედიტაციო ბარათის ასლი. ამ პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება ამ წესის 46-ე მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გამოცდაზე დაშვებისას.“.

მუხლი 2

უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე მძღოლობის იმ კანდიდატს, რომელმაც ამ ბრძანების ამოქმედებამდე წარმატებით ჩააბარა შესაბამისი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო მომსახურებას გაუწევს ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული წესით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა

ვახტანგ გომელაური